გენგეგმა მ. 1:500



განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიძების პროექტი დამუშავებულია შემოკლებულ ვარინატში.
2. სამშენებლო ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისში, ვარკეთილი-3, I მკრ. №13-15 კორპუსების მიმდებარედ და წარმოადგენს შპს. "ანა"საკუთრებაში არსებულ, 01.19.20.001.030 კოდით რეგისტრირებულ, 1248 კვ.მ. ფართობზე არსებულ ბენზინ გასამართ სადგურს. პროექტით გათვალისწინებულია არსებული ბენზინ გასამართი სადგურის რეკონსტრუქცია. ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი, ერთ სართულიანი საოპერატორო ფართი და ასევე სარეზერვუქრო პარკი. საპროექტო წინადადებით გათვალისწინებულია არსებული საოპერატორო ფართის გადიდება, სადაც განთავსდება ოფისი, სოპერატორო და სან.წერტილი, მომსახურე პერსონალისთვის და მომხმარებლისთვის. ასევე მოხდება არსებული ფარდულის დემონტაჟი და მის ნაცვლად მოეწყობა ახალი ფარდული საწვავ-სარიგებელი სვეტებითა და ფასმაჩვენებლებით. ფარდულის ქვეშ მოისაზრება არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა წყალშემკრები დრენაჟით, რომელიც დაერთებული იქნება სალექართან და ბეტონის დეკორატიული კუნძული. ასევე ცალკე მოეწყობა მცირე ზომის კიდევ ერთი საწვავ-სარიგებელი სვეტი. სარეზერვუარო პარკის გარჩემო დასრულდება ბეტონის კედლის მოწყობა და სარეზერვუაროს თავზე მოეწყობა ბეტონის არმირებული ფილა, სადაც განთავსდება უკვე არსებული რეზერვუარებისათვის ჩასასვლელი ლუქები.ტერიტორიაზე განთავსდება მეხამრიდი. ტერიტორიის ნაწილი მოპირკეთდება ასფალტის საფარით. ბოლოს მოხდება ტერიტორიის დასუფთავება.
3. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგძლივობა განისაზღვრება საამშენებლო ნორმების და წესების -СНиП-1.04.03-85 -ის მიხედვით. აღნიშნული სამუშაოების გათვალისწინებით მშენებლობის ხანგძლივობად მიღებულია 6 თვე.
4. გამოყენებულიიქნას არსებული იფრასტრუქტურა. ტერიტორია შემოიღობოს დროებითი ღობით. პირველ ეტაპზე მოხდება რეზერვუარების პარკის თავზე ბეტონის საფარის მოწყობა. ასევე "1" და "ა-ბ" ღერძების გასწვრივ არსებული კედლებისა და არსებული ფარდულის მოხსნა. შემდეგ კი მოეწყობა ახალი კედლები, მათი გადახურვა და ახალი ფარდული. ფარდულის ქვეშ მოხდება საინჟინრო ქსელების, ბეტონის საფარის და დრენაჟების მოწყობა. ასევე მოეწყობა მეხამრიდი და მოხდება დამიწება.დასრულდება მოპირკეთებითი სამუშაოები,რის შემდეგაც მოხდება ტერიტორიის დასუფთავება.
5. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი ენერგიით და წყლით მოხდება არსებული ქსელებიდან. სამშენებლო ნაგავი გატანილ იქნას მოედნიდან.
6. მშნებლობის ორგანიზაციის პროექტში მომუშავეთა შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების საკითხებზე მთავარ წყაროდ წარმოდგენილია სამშნებლო ნორმებისა და წესებით СНиП-III-4-80* "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში".

ექსპლიკაცია

1. საოპერატორო-ოფისი
2. რეზერვუარების პარკი
3. ფარდული

---

4. ღია საწყობი

პირობითი აღნიშვნები

- დროებითი ღობე
- ღია საწყობი
- შესასვლელი

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

№	ობიექტის და სამუშაოთა დასახელება	თვე	1	2	3	4	5	6
		დღე	25	25	25	25	25	25
1	ტერიტორიის მომზადება, არსებული შენობის ნგწილობრივი დემონტაჟი	25	1 25					
2	რეზერვუარების პარკის ზემოთ ბეტონის საფარის მოწყობა, კონსტრუქციის მონტაჟი კედლების ამოყვანა, საწვავ-სარიგებელი სვეტების მოწყობა.	50		2 50				
3	სარემონტო სამუშაოების დასრულება	50				2 50		
4	ტერიტორიის დასუფთავება ნაგვის გატანა	25						1 25

მითითება: სამშენებლო პერიოდის ათვლა დაიწყება მშენებლობის ნებართვის გაცემის დღიდან

მითითებანი

1. დაცულ იქნას უსაფრთხოების ღონისძიებები;
2. აკრძალულ იქნას უცხო პირების მოხვედრა სამშენებლო მოედანზე;
3. პირველ ეტაპზე მოხდება დროებითი ღობის მოწყობა;
4. გამოყენებულ იქნას არსებული ინფრასტრუქტურა;
5. დროებით ღობეზე და შესასვლელთან განთავსდეს შესაბამისი ბანერი სამშენებლო სამუშაოების წარმოების და უსაფრთხოების წესების შესახებ;
6. მშენებლობის პერიოდში დაცულ იქნას უსაფრთხოების ღონისძიებები;
7. გათვალისწინებულ იქნას კონსტრუქტორის მითითებანი;
8. მშენებლობაზე განხორციელდეს ხარისხის კონტროლი;
9. სამშენებლო მასალებით მომარაგება ქუჩის მხრიდან ეტაპობრივად მშენებლობის პერიოდში;

დირექტორი	ნ.ხვითარია		UNITED GEORGIA		
პროექტის ავტორი	ვლ.ცხვიტარია				
			მშენებლობის ორგანიზაცია	სტადია	შეკვეთა	რაოდ.
დაამუშავა	დ.ვერულავა		განმარტებითი ბარათი, გენგეგმა, მშენებლობის კალენდარული გრაფიკი	m. p.	მო-1	1
				მასშტაბი	დაკვეთა	
				1:500		